2026 წლის იანვარ-მარტის სავაჭრო ბრუნვა

2026 წლის 3 თვეში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5 862.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 0.1%-ით.

- ექსპორტი გაიზარდა 23.3 %-ით 1 723.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა
- იმპორტი შემცირდა 7.2%-ით 4 138.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.
- საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2026 წლის იანვარ-მარტში 2 414.7 აშშ დოლარი შეადგინა ექსპორტის შედარებით მაღალი ზრდის ტემპის გამო 8.9%-ით შემცირდა და სავაჭრო ბრუნვის 41.2% დაიკავა (2025/3-50.1%)
- შესაბამისად, 4.5%-ით გაიზარდა ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში და 29.4% შეადგინა (2025/3-24.9.4%).

ადგილობრივი ექსპორტი

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 65.1 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 75.1 პროცენტით გაიზარდა და 1 122.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ადგილობრივი ექსპორტის ძირითად 10 პოზიციას მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 68.7% უკავია. ეს პოზიციებია:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 200.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 37-ჯერ)
- ძვირფასი ლითონის მადნები - 169.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 220%)
- ფეროშენადნობები - 75მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 94%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები 65.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 169%)
- ყურძნის ნატურალური ღვინოები - 52.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%)
- თხილი და სხვა კაკალი - 48.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 70%)
- მინერალური და მტკნარი წყლები - 47.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10%)
- სპირტიანი სასმელები - 44.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3%)
- ოქრო დაუმუშავებელი - 43.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 57%)
- უალკოჰოლო სასმელები - 41.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35%)
-

რე- ექსპორტი

რე-ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 34.9 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.9 %-ით შემცირდა და 600.9 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

რე-ექსპორტში ძირითად სასაქონლო პოზიციებს წარმოადგენს:

- მსუბუქი ავტომობილები - 364.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 27%)
- მედიკამენტები - 22.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%)
- თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები - 13.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%)
- ნავთობპროდუქტები - 20.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 64%)
- ქაღალდის ტარა - 14. 3მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 64%)
- სპირტიანი სასმელები - 11.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%)
- სატვირთო ავტომობილები - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 6%)
- ბულდოზერები და ამწე სატვირთო - 7.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8%)
- საბურავები - 6.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 7%)
- ბამბა - 6.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 77%)

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2026 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (802.1 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (738 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (690.7 მლნ. აშშ დოლარი).



ექსპორტი

2026 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 71.6% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (203.2 მლნ. აშშ დოლარი), ყირგიზეთი (190.9 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (145.5 მლნ. აშშ დოლარი).



2026 წლის იანვარ-მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 364.5 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 21.1%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ნავთობპროდუქტები 208.1 მლნ. აშშ დოლარით (12.1%), ხოლო მესამე ადგილზეა ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 169.9 მლნ. აშშ დოლარით (9.9%).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა და 422.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პოზიციების ექსპორტი გაიზარდა 26%-ით და 1 301.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ძირითადად გაიზარდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 56.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 53% (ზრდა 2%), სომხეთი 11% (კლება 37%), უკრაინა 10% (ზრდა 28%), აზერბაიჯანი 5% (ზრდა 158%), ბელარუსი 5% (ზრდა 64%), საფრანგეთი 1% (კლება 78%).
- **ღვინო** - ექსპორტი 52.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 62% (ზრდა 18%), პოლონეთი 8% (კლება 12%), უკრაინა 5% (კლება 1%), ყაზახეთი 2% (კლება 58%), ჩინეთი 4% (კლება 14%), გერმანია 3% (ზრდა 34%), აშშ 2% (კლება 33%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 47.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 41% (კლება 3%), ყაზახეთი 22% (ზრდა 34%), უკრაინა 12% (კლება 5%), უზბეკეთი 5% (კლება 0.3%), გერმანია 2% (ზრდა 0.2%).
- **თხილი** - ექსპორტი 48.5 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 63%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 27% (ზრდა 162%), ესპანეთი 14% (ზრდა 85%), სირია 8% (03/25-0), საფრანგეთი 5% (ზრდა 33%), გერმანია 7% (ზრდა 109%), თურქეთი 0.1% (კლება 97%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 41.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 36%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 21% (კლება 7%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 41%), ყაზახეთი 16% (ზრდა 30%), უზბეკეთი 9% (ზრდა 19%), სომხეთი 10% (ზრდა 87%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 25.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 57%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 65% (ზრდა 58%), საფრანგეთი 12% (ზრდა 3-ჯერ), იტალია 3% (ზრდა 4-ჯერ), გერმანია 3% (ზრდა 3-ჯერ).
- **სანელებლები** - ექსპორტი 12.1 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 76%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 81% (ზრდა 116%), რუსეთი 13% (კლება 10%), უკრაინა 2% (კლება 16%).
- **ფრინველის ხორცი** - ექსპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 68%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქმენეთი 42% (ზრდა 245%), ყაზახეთი 40% (ზრდა 99%), სომხეთი 10% (კლება 52%).
- **ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი** - ექსპორტი 6.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 19%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 90% (ზრდა 17%), თურქეთი 6% (03/25-0).
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 111%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საუდის არაბეთი 51% (ზრდა 29), ყატარი 23% (03/25-0), ლიბია 15% (03/25-0), ქუვეითი 7% (ზრდა 31%), აზერბაიჯანი 1% (კლება 52%).

- **ციტრუსები** - ექსპორტი 5.9 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 38%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 49% (ზრდა 1%), რუსეთი 42% (ზრდა 137%), გერმანია 8% (ზრდა 27%).

ამასთან, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაში ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ცოცხალი პირუტყვი** - ექსპორტი 8.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ერაყი 75% (კლება 31%), აზერბაიჯანი 25% (ზრდა 158%).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 8.7 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 1%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 24% (კლება 61%), აშშ 20% (ზრდა 40%), ისრაელი 8% (ზრდა 85%), იაპონია 7% (ზრდა 37%), ავსტრალია 13% (ზრდა 4-ჯერ).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 3.3 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 85%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ა/გ საემიროები 63% (03/25-0), ირანი 35% (03/25-0).
- **კარტოფილი** - ექსპორტი 1.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 88%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 89% (კლება 47%), რუსეთი 7% (კლება 99%).

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი შემცირდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 364.5 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 50% (კლება 32%), ყაზახეთი 24% (კლება 41%), აზერბაიჯანი 8% (კლება 41%), სომხეთი 4% (ზრდა 13%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 29.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 17%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უკრაინა 47% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), პერუ 6% (ზრდა 45%), იტალია 6% (კლება 27%), ტანზანია 6% (კლება 40%), განა 5% (კლება 28%), ნამიბია 4% (კლება 68%), რუმინეთი 4% (კლება 88%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 9.6 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 22% (კლება 24%), სომხეთი 22% (ზრდა 30%), ყაზახეთი 13% (ზრდა 21%), ყირგიზეთი 8% (კლება 21%), ლიეტუვა 9% (კლება 7%).
- **სამედიცინო ხელსაწყოები** - ექსპორტი 8.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 23%). საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 40% (კლება 39%), უზბეკეთი 2% (კლება 55%), რუსეთი 1% (კლება 69%).
- **ელექტრული წყალგამახურებლები** - ექსპორტი 2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 72%). საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 84% (ზრდა 47%), საფრანგეთი (მ/წელს არ გასულა; 03/25 – 3.1), რუსეთი (მ/წელს არ გასულა; 03/25 – 1.5).
- **უნაკერო მილები** - ექსპორტი 3.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 69%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აშშ 53% (კლება 45%), ყაზახეთი 25% (03/25-0), იტალია 9% (კლება 95%).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სამრეწველო პოზიციებზე

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - ექსპორტი 208.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ტოგო 27% (03/25-0), თურქეთი 23% (03/25-0), მალტა 8% (03/25-0), მაროკო 8% (03/25-0), ა/გ საემიროები 6% (ზრდა 4-ჯერ), ლიბია 5% (03/25-0).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 75.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 94%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 24% (ზრდა 141%), აშშ 22% (03/25-0), იტალია 9% (ზრდა 90%), კანადა 9% (03/25-0), საბერძნეთი 8% (ზრდა 145%), ნიდერლანდები 7% (ზრდა 99%), ესპანეთი 5% (კლება 45%), საფრანგეთი 2% (ზრდა 23%), აზერბაიჯანი 2% (ზრდა 10%) რუმინეთი 1% (კლება 31).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 169.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 221%). ძირითადი ბაზრები: ჩინეთი 80% (ზრდა 3-ჯერ), ბულგარეთი 20% (ზრდა 78%).
- **დაუმუშავებელი ოქრო** - ექსპორტი 43.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 57%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 81% (ზრდა 41%), ემირატები 16% (ზრდა 9-ჯერ), თურქეთი 2% (კლება 49%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 27.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7%). საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 47% (კლება 0.5%), აზერბაიჯანი 24% (კლება 6%), სომხეთი 13% (ზრდა 107%), ტაჯიკეთი 5% (ზრდა 9%).
- **მამაკაცის კოსტუმები** - ექსპორტი 25.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 12%). საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 96% (ზრდა 11%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 65.6 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 169%). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 44% (ზრდა 38%), ჩინეთი 37% (ზრდა 6-ჯერ), ჰონგ-კონგი 18% (03/25-0).
- **საბურავები** - ექსპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7%). საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 37% (კლება 5-ჯერ), ნიდერლანდები 18% (კლება 34%), პოლონეთი 1% (კლება 96%).

იმპორტი

2026 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.2% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (657.3 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (592.5 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (487.6 მლნ. აშშ დოლარი).



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2026 წლის იანვარ-მარტში შემდეგია: მსუბუქი ავტომობილები, რომლის იმპორტმა 632.2 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 15.3% შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს ნავთობპროდუქტები 338.6 მლნ. აშშ დოლარით (8.2%), ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობის აირები 204.1 მლნ. აშშ დოლარით (4.9).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 14% გაიზარდა და 611 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 10% გაიზარდა და 3 532.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 338.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 12%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 35% (კლება 25%), რუმინეთი 12% (კლება 23%), თურქეთი 10% (ზრდა 6-ჯერ), ბულგარეთი 9% (კლება 42%), აზერბაიჯანი 7% (ზრდა 3-ჯერ), საბერძნეთი 6% (ზრდა 3-ჯერ).
- **ნავთობის აირები** - 204.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 6%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 55% (ზრდა 3%), აზერბაიჯანი 45% (ზრდა 12%).
- **სამკურნალო საშუალებები** - 185 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 14%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 28% (ზრდა 33%), გერმანია 16% (ზრდა 49%), შვეიცარია 11% (ზრდა 42%), უნგრეთი 9% (ზრდა 11%), ინდოეთი 2% (კლება 65%), საფრანგეთი 3% (კლება 26%).
- **სატელეფონო აპარატები** - 73.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 16%). იმპორტიორი ქვეყნებია: ა/გ საამიროები 34% (ზრდა 23%), ჩეხეთი 18% (ზრდა 101%), ჰონგ-კონგი 15% (ზრდა 2-ჯერ), ვიეტნამი 11% (ზრდა 5%), ჩინეთი 8% (ზრდა 16%).
- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 26 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 1%). იმპორტიორი ქვეყნები: ჩინეთი 34% (ზრდა 5%), უკრაინა 21% (ზრდა 81%), ბრაზილია 9% (კლება 46%), თურქეთი 11% (ზრდა 18%), აშშ 11% (ზრდა 70%), ნიდერლანდები 8% (ზრდა 22%), საფრანგეთი 2% (კლება 55%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 46.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 156%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 95% (ზრდა 2-ჯერ), აზერბაიჯანი 5% (კლება 3%).
- **ხორბალი** - 21.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 38%). იმპორტი სრულად განხორციელდა რუსეთიდან.
- **ღორის ხორცი გაყინული** - იმპორტი 18.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 53%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 79% (ზრდა 88%), რუსეთი 11% (კლება 30%).
- **მცენარეული (მზეს.) ზეთი** - 13.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 27%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 85% (ზრდა 38%), უკრაინა 8% (კლება 33%), აზერბაიჯანი 5% (ზრდა 80%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - 632.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 26%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 58% (კლება 23%), გერმანია 14% (კლება 38%), იაპონია 10% (კლება 36%).

- **მეტალოკონსტრუქციები** - 20 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 9%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 48% (კლება 14%), ჩინეთი 22% (ზრდა 16%), ავსტრია 2% (კლება 77%), ა/გ საამიროები 1% (კლება 94%), ინდოეთი 4% (03/25-0).
- **ნაღების კარაქი** - 15.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 13%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 31% (კლება 8%), ირანი 12% (ზრდა 11%), ფინეთი 9% (კლება 7%), პარაგვაი 9% (კლება 27%), ურუგვაი 6% (კლება 74%), პარაგვაი 9% (კლება 27%), დანია 1% (ზრდა 27%).
- **შაქარი** - იმპორტი 10.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 13%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: პოლონეთი 40% (ზრდა 3-ჯერ), საფრანგეთი 30% (კლება 29%), ნიდერლანდები 16% (ზრდა 15%), ბელგია 7% (ზრდა 2-ჯერ), ა/გ საემიროები 5% (ზრდა 2-ჯერ).
- **ხორბლის ფქვილი** - 2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 29%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 52% (კლება 56%), თურქეთი 23% (ზრდა 60%), იტალია 9% (ზრდა 55%).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 3.8%-ით გაიზარდა, 1 256.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა **(2025/3 -21%)**. **ექსპორტი** გაიზარდა 17%-ით, 216.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 13% შეადგინა (**2025/3-13%). იმპორტი გაიზარდა 1%-ით 1040.5** მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 25% დაიკავა (**2025/3–23%).**

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 27%-ით გაიზარდა, 205.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 95% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 18% **(2025/3– 25%).**
რე-ექსპორტი შემცირდა 55%-ით 10.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 5% და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 1.8% დაიკავა.**(2025/3-3.1 %).**

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი გაიზარდა 46%-ით და 68.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქცია** გაიზარდა 7%-ით და 147.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 29 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38%). მთლიანი ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში.

- **თხილი** - ექსპორტი 33.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 116%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 39% (ზრდა 162%), ესპანეთი 20% (ზრდა 85%), გერმანია 10% (ზრდა 109%), პოლონეთი 8% (ზრდა 134%), საფრანგეთი 7% (ზრდა 33%), ჩეხეთი 2% (კლება 24%).
- **ფეროშენადნობი** - 26 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 25% (ზრდა 90%), საბერძნეთი 24% (ზრდა 145%), ნიდერლანდები 22% (ზრდა 99%), ესპანეთი 13% (კლება 45%), პორტუგალია (წელს ექსპორტი არ განხორციელებულა; წინა წელს გავიდა 3.2 მლნ), საფრანგეთი 7% (ზრდა 23%), რუმინეთი 4% (კლება 31%).
- **ღვინო** - ექსპორტი 9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 46% (კლება 12%), გერმანია 19% (ზრდა 34%), ლატვია 13% (ზრდა 5%), ლიეტუვა 7% (ზრდა 17%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 61% (ზრდა 135%), გერმანია 22% (ზრდა 0.2%), ლატვია 9% (კლება 14%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 2.3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 33%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბელგია 31% (ზრდა 7-ჯერ), იტალია 20% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), ლიეტუვა 16% (კლება 43%), პოლონეთი 10% (კლება 41%), გერმანია 7% (კლება 63%), ბულგარეთი 3% (კლება 5%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 3.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 82%). საექსპორტო ბაზრები: იტალია 62% (კლება 27%), რუმინეთი 38% (კლება 88%), ესპანეთი (წელს ექსპორტი არ განხორციელებულა; 03/25-3.5 მლნ), ბულგარეთი (წელს ექსპორტი არ განხორციელებულა; 03/25-1.3 მლნ).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 3.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 21%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლატვია 41% (ზრდა 2-ჯერ), საფრანგეთი 17% (კლება 78%), ლიეტუვა 17% (ზრდა 28%).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 6.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 49% (ზრდა 3-ჯერ), გერმანია 14% (ზრდა 3-ჯერ), იტალია 12% (კლება 4-ჯერ), ავსტრია 3% (ზრდა 13%), ჩეხეთი 5% (ზრდა 2-ჯერ).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 20%-ით გაიზარდა და 174.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი შემცირდა 2%-ით და 866 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 136.7 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 15%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 30% (ზრდა 23%), ბულგარეთი 22% (კლება 42%), საბერძნეთი 15% (ზრდა 3-ჯერ).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 94.7 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 26%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 32% (ზრდა 49%), უნგრეთი 17% (ზრდა 11%), საფრანგეთი 7% (კლება 26%).
- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 22.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 76%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 62% (ზრდა 101%), ნიდერლანდები 22% (ზრდა 13%).
- **ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 12.2 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 3%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 78% (ზრდა 20%), ირლანდია 13% (ზრდა 6%), გერმანია 6% (კლება 51%).
- **შაქარი** - იმპორტი 10.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 43% (ზრდა 3-ჯერ), საფრანგეთი 32% (კლება 29%), ნიდერლანდები 17% (ზრდა 15%).
- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 4 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 25%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 49% (ზრდა 32%), იტალია 16% (ზრდა 51%), საფრანგეთი 11% (ზრდა 8%), ესპანეთი 6% (ზრდა 3%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 114.9 მლნ აშშ დოლარი (კლება 42%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 78% (კლება 38%), იტალია 6% (ზრდა 1%), ჩეხეთი 4% (კლება 37%), შვედეთი 4% (კლება 21%), ბელგია 2% (კლება 89%).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 19.1 მლნ აშშ დოლარი (კლება 35%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 51% (კლება 16%), ნიდერლანდები 15% (კლება 48%), იტალია 9% (ზრდა 53%), პოლონეთი 5% (კლება 68%), ბელგია 4% (კლება 66%).
- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 10.2 მლნ აშშ დოლარი (კლება 6%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 29% (კლება 19%), ნიდერლანდები 19% (კლება 49%), ბელგია 20% (კლება 5%).
- **ნაღების კარაქი** - იმპორტი 8 მილიონი აშშ დოლარი (კლება 4%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 59% (კლება 8%), ფინეთი 18% (კლება 7%), ბელგია 2% (კლება 77%).
- **მეტალოკონსტრუქციები** - იმპორტი 1.8 მლნ აშშ დოლარი (კლება 43%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: იტალია 28% (ზრდა 31%), ავსტრია 17% (კლება 77%), გერმანია 15% (კლება 51%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 2.7%-ით გაიზარდა,** შეადგინა - 1 856.4 მლნ. აშშ დოლარი და დაიკავა საქართველოს მთლიანი ბრუნვის 32% **(2025/3– 31%). ექსპორტი შემცირდა** 10%-ით, 844.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 49% დაიკავა

(**2025/3-67.2%). იმპორტი** 17%-ით გაიზარდა, 1012 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა (**2025/3–19%).**

დსთ-ში ადგილობრივი ექსპორტი 20%-ით გაიზარდა 300.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 36% დაიკავა და საქართველოს მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 27% **(2025/3 – 39%).**
რე-ექსპორტი 21%-ით შემცირდა 690.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 64% დაიკავა და საქართველოს მთლიანი რე-ექსპორტის 90.6% **(2025/3-91.4%).**

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 7%-ით გაიზარდა და 281.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 17%-ით შემცირდა და 562.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 49.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 61% (ზრდა 2%), სომხეთი 12% (კლება 37%), უკრაინა 11% (ზრდა 28%), აზერბაიჯანი 6% (ზრდა 158%), ბელარუსი 5% (ზრდა 64%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 40.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (კლება 3%), ყაზახეთი 26% (ზრდა 34%), უკრაინა 13% (კლება 5%), უზბეკეთი 6% (კლება 0.3%).
- **ღვინო** - ექსპორტი 38.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 85% (ზრდა 18%), უკრაინა 7% (კლება 1%), ყაზახეთი 3% (კლება 58%), ბელარუსი 3% (ზრდა 13%).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 36.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 25% (ზრდა 41%), რუსეთი 24% (კლება 7%), ყაზახეთი 19% (ზრდა 30%), სომხეთი 12% (ზრდა 87%), უზბეკეთი 10% (ზრდა 19%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 26.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 49% (კლება 0.5%), აზერბაიჯანი 24% (კლება 6%), სომხეთი 14% (ზრდა 107%), ტაჯიკეთი 5% (ზრდა 9%), ყირგიზეთი 3% (ზრდა 2-ჯერ), თურქმენეთი 1% (კლება 48%), ყაზახეთი 1% (კლება 67%).
- **ციტრუსი** - ექსპორტი 5.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 39%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 53% (ზრდა 1%), რუსეთი 46% (ზრდა 137%).
- **სიგარეტები** - წლის ამ პერიოდში დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტი საერთოდ არ განხორციელებულა.

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 349.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 53% (კლება 32%), ყაზახეთი 25% (კლება 41%), აზერბაიჯანი 9% (კლება 41%), სომხეთი 4% (ზრდა 13%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 2.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 56%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი -)წელს არ განხორციელებულა), აზერბაიჯანი 78% (ზრდა 10%), სომხეთი 11% (ზრდა 141%), უკრაინა 10% (კლება 92%).
- **თხილი -** ექსპორტი 2.4 მლნ აშშ დოლარი (კლება 8%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 58% (ზრდა 11%), ბელარუსი 21% (ზრდა 2-ჯერ), უკრაინა 12% (კლება 21%), სომხეთი 8% (კლება 70%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 9%-ით გაიზარდა და 217.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 19%-ით გაიზარდა და 794.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ნავთობის აირები** - 204.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 7%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 55% (ზრდა 3%), აზერბაიჯანი 45% (ზრდა 12%).
- **არმატურა -** 65 ათასი აშშ დოლარი. იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 63%, რუსეთი 37%. წინა წელს შემოვიდა 21 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები -** იმპორტი 46.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 156%). იმპორტიორი ქვეყანა: სომხეთი 95% (ზრდა 2-ჯერ), აზერბაიჯანი 5% (კლება 3%).
- **ხორბალი** - იმპორტი 20.7 (ზრდა 33%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 91% (ზრდა 76%), ყაზახეთი 9% (კლება 62%).
- **მცენარეული ზეთი -** იმპორტი 13.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 86% (ზრდა 38%), უკრაინა 8% (კლება 33%), აზერბაიჯანი 5% (ზრდა 80%).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მსუბუქი ავტომობილები -** იმპორტი 8.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 7%). იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 57% (კლება 15%), რუსეთი 8% (ზრდა 37%), უკრაინა 10% (ზრდა 106%).
- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 1.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 44%). სრული იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან.